



## მოხსენება

საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის  
შესრულების მიმდინარეობის შესახებ  
მთავრობის ანგარიშზე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

## შინაარსი

|                                                                             |    |
|-----------------------------------------------------------------------------|----|
| ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები .....                               | 3  |
| შემაჯამებელი მიმოხილვა .....                                                | 4  |
| 1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები .....                         | 6  |
| 2. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები .....                                    | 7  |
| 3. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები .....                                  | 10 |
| 3.1. საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება .....          | 12 |
| 3.2. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები .....               | 14 |
| 3.3. პანდემიის საპასუხოდ გასატარებელი ღონისძიებები .....                    | 15 |
| 4. სახელმწიფო და მთავრობის ვალი .....                                       | 15 |
| 4.1. საგარეო წყაროებიდან მიღებული კრედიტები .....                           | 18 |
| 4.2. საშინაო ვალი .....                                                     | 19 |
| 4.3. სახელმწიფო ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები .....               | 20 |
| დანართი 1. ბიუჯეტის დაგეგმვა და დაზუსტება - მაგალითები .....                | 21 |
| დანართი 2. დაბალი ათვისების მქონე პროგრამები - მაგალითები .....             | 21 |
| დანართი 3. პანდემიის საპასუხოდ გასატარებელი ღონისძიებები .....              | 25 |
| დანართი 4. საინვესტიციო პროექტების ათვისების მდგომარეობა - მაგალითები ..... | 27 |

## ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები

|                                                                                                              |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| მოხსენების<br>სამართლებრივი<br>საფუძვლები                                                                    | მოხსენება მომზადებულია „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 136-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 39-ე მუხლის შესაბამისად.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |
| მოხსენების<br>დოკუმენტური<br>საფუძვლები                                                                      | მოხსენების მოსამზადებლად გამოყენებულია: ა) საქართველოს მთავრობის მოხსენება „2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“; ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე სახელმწიფო ხაზინის მიერ მომზადებული ყოველთვიური, კვარტალური და წლიური ანგარიშები; გ) მხარჯავი დაწესებულებების (სამინისტროები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სხვ.) მიერ მომზადებული ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების დოკუმენტები; დ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების მასალები და დასკვნები; ე) სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია. |
| სახელმწიფო<br>ბიუჯეტის<br>შესრულების<br>მიმდინარეობის<br>შესახებ ანგარიშის<br>მომზადებაზე<br>პასუხისმგებლობა | სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასა და შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა. ანგარიშის საფუძვლად გამოყენებული სტატისტიკური ინფორმაციის მომზადებაზე პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელი არიან საქართველოს მთავრობა და მხარჯავი დაწესებულებები. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვაზე, აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია შესაბამისი მხარჯავი დაწესებულება.                                                                        |
| სახელმწიფო<br>აუდიტის<br>სამსახურის<br>პასუხისმგებლობა                                                       | მოხსენების სამართლებრივი საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის საქართველოს მთავრობის ანგარიშში ასახვის სიზუსტესა და სისრულეს, ასევე ხარჯების კანონიერებას.                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
| ზოგადი შეფასება                                                                                              | სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მოხსენებაში მოცემული მნიშვნელოვანი საკითხების გარდა, „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ მთავრობის ანგარიში მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |

## შემაჯამებელი მიმოხილვა

2021 წლის ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით შემოსულობები 16.8 მლრდ ლარით, ხოლო გადასახდელები 18.4 მლრდ ლარით განისაზღვრა. ივლისში, ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით, შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 17.9 მლრდ ლარამდე (7%-ით), გადასახდელების კი 19.5 მლრდ ლარამდე (6.1%-ით) გაიზარდა.

8 თვის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებულმა შემოსულობებმა 11.5 მლრდ ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 64.3%-ია. აღსანიშნავია, რომ 9 თვის გეგმაზე გადაჭარბებით სრულდება საგადასახადო შემოსავლების ყველა კომპონენტი. ეკონომიკური ზრდის არსებული ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში, წლის ბოლოსაც მოსალოდნელია დაგეგმილზე მეტი ოდენობის საგადასახადო შემოსავლების მიღება.

რაც შეეხება ბიუჯეტის გადასახდელებს, 8 თვის მდგომარეობით ათვისების მაჩვენებელი წლიური გეგმის 65.9%-ს (12.9 მლრდ ლარს), ხოლო 9 თვის გეგმის 86.5%-ს შეადგენს. გადასახდელების შესრულების მაღალი მაჩვენებელი ნაწილობრივ გამოწვეულია აპრილში 500 მლნ აშშ დოლარის (1.7 მლრდ ლარი) ნომინალური ღირებულების ევროობლიგაციების დაფარვით, რისი გამორიცხვითაც, შესრულება წლიური გეგმის 62.9%-ია.

პირველ ორ კვარტალში დაგეგმილი გადასახდელებიდან აუთვისებელმა თანხამ, ჯამურად, 428 მლნ ლარი შეადგინა. წლიური გეგმის შესრულების შემთხვევაში, წლის ბოლო ოთხ თვეში გადასახდელების საშუალოთვიური მაჩვენებელი (ევროობლიგაციის დაფარვის ეფექტის გამორიცხვით) პირველი რვა თვის საშუალო მაჩვენებელს 19.0%-ით გადააჭარბებს.

საბიუჯეტო ორგანიზაციების ჭრილში, საყურადღებოა, ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებები, რაც გამოიხატება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ ხარჯთაღრიცხვის ცვლილებებსა და დაბალი ათვისების მქონე პროგრამების/ქვეპროგრამების არსებობაში. კერძოდ:

- ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის შემთხვევაში ადგილი აქვს თანხების მობილიზებას ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ასიგნებების გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე;
- 2021 წლის 8 თვის განმავლობაში 18 ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებები არ იქნა ათვისებული. აქედან გამომდინარე, წლის ბოლომდე ამ ქვეპროგრამებისთვის გამოყოფილი დაფინანსების სრულად გამოყენება ნაკლებ სავარაუდოა;
- გარკვეული პროგრამები/ქვეპროგრამები ათვისების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება. 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით 8 თვეში ათვისებული ასიგნებების მაჩვენებელი 60%-ზე ნაკლებია 24 პროგრამისა და 69 ქვეპროგრამისთვის;
- ზოგიერთი პროგრამა/ქვეპროგრამა, რომელსაც 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით ათვისების მაღალი მაჩვენებელი აქვს, ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ წლიურ გეგმასთან შედარებით შესრულების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება, რაც გამოწვეულია პროგრამებისთვის/ქვეპროგრამებისთვის განკუთვნილი ასიგნებების აუთვისებელი ნაწილის გადანაწილებით სხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე.

პანდემიის საპასუხოდ გასატარებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით გამოიყო 977 მლნ ლარი. კანონში განხორციელებული ცვლილებით დაფინანსების მოცულობა 1.4 მლრდ ლარამდე გაიზარდა. მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით გამოიყო 871 მლნ ლარი, სოციალური დაცვის მიმართულებით 250 მლნ ლარი, ხოლო ბიზნესის/ეკონომიკის ხელშეწყობის ღონისძიებებისთვის 277 მლნ ლარი. 8 თვის მდგომარეობით ათვისების მაჩვენებელი 75.2%-ს (1.1 მლრდ ლარს) შეადგენს.

2021 წლის 8 თვის მდგომარეობით, სახელმწიფო ვალის მოცულობა 30.5 მლრდ ლარს შეადგენს, რაც 2020 წლის ბოლოს არსებულ მაჩვენებელზე 292 მლნ ლარით ნაკლებია. სახელმწიფო ვალის მოცულობა ბიუჯეტის კანონით დადგენილი ზღვრული მაჩვენებლის (32.3 მლრდ ლარი) 94.6%-ია.

მთავრობის ვალი 31 აგვისტოს მდგომარეობით 29.1 მლრდ ლარია და 2020 წლის ბოლოს არსებულ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 592 მლნ ლარით. ვალის ნაშთის შემცირება ძირითადად გამოწვეულია ეროვნული ვალუტის გამყარებითა (1.8 მლრდ ლარი) და საშინაო ვალის ნაშთის შემცირებით (713 მლნ ლარი).

8 თვის მდგომარეობით, საგარეო წყაროებიდან მოზიდული რესურსით დაფინანსებული ზოგიერთი საინვესტიციო პროექტი ათვისების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება. კერძოდ, 16 პროექტის შემთხვევაში, საკრედიტო რესურსის ათვისების მაჩვენებელი 9 თვის გეგმის 40%-ზე ნაკლებია, მათ შორის 6 პროექტის შემთხვევაში ადგილი აქვს ნულოვან ათვისებას. აღნიშნულ პროექტებზე 9 თვის გეგმით ჯამურად გათვალისწინებულია 209.7 მლნ ლარის მიმართვა, საიდანაც 8 თვის მდგომარეობით ათვისებულია მხოლოდ 10% (20.9 მლნ ლარი).

## 1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები


2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით, შემოსულობების მოცულობა 16.8 მლრდ ლარით, ხოლო გადასახდელები - 18.4 მლრდ ლარით იყო განსაზღვრული. მეორე კვარტალში დაფიქსირებული მაღალი ეკონომიკური აქტივობის გათვალისწინებით, ივლისში ბიუჯეტის კანონში განხორციელდა ცვლილება, რის შედეგადაც შემოსულობები 17.9 მლრდ ლარამდე (7%-ით), გადასახდელები კი 19.5 მლრდ ლარამდე (6.1%-ით) გაიზარდა. შესაბამისად, 2021 წლის ბოლოსთვის დაიგეგმა ბიუჯეტის ნაშთის გამოყენება 1.6 მლრდ ლარის ოდენობით. ამასთანავე, ცვლილების შედეგად დაკორექტირებული კვარტალური განწერით, დაიგეგმა პირველ სამ კვარტალში გადასახდელების მაჩვენებლის ჯამურად 2.2 მლრდ ლარით გადაჭარბება შესაბამისი პერიოდის შემოსულობებზე.

ცხრილი 1. კვარტალური გეგმით განსაზღვრული შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების მაჩვენებლები - 2021 წ. (მლნ ლარი)

|                        | I კვ.<br>გეგმა | II კვ.<br>გეგმა | III კვ.<br>გეგმა | IV კვ.<br>გეგმა | წლიური გეგმა  |
|------------------------|----------------|-----------------|------------------|-----------------|---------------|
| <b>შემოსულობები</b>    | 4,100          | 4,943           | 3,635            | 5,255           | <b>17,933</b> |
| <b>გადასახდელები</b>   | 4,316          | 6,156           | 4,396            | 4,630           | <b>19,499</b> |
| <b>ნაშთის ცვლილება</b> | -217           | -1,213          | -761             | 625             | <b>-1,566</b> |

8 თვის მდგომარეობით, ფაქტობრივად მობილიზებულმა შემოსულობებმა 11.5 მლრდ ლარი (წლიური გეგმის 64.3%), ხოლო გაწეულმა გადასახდელებმა 12.9 მლრდ ლარი (წლიური გეგმის 66%) შეადგინა. პირველი ორი კვარტალის განმავლობაში შემოსულობები გადაჭარბებით შესრულდა, გადასახდელები კი გეგმიდან ჩამორჩენით ხასიათდებოდა (იხ. დიაგრამა 1). კერძოდ, პირველ კვარტალში შემოსულობებმა გეგმას 5.9%-ით (240 მლნ ლარით), მეორე კვარტალში კი 2%-ით (97 მლნ ლარით) გადააჭარბა. ანალოგიურ პერიოდში გადასახდელები კვარტალურ გეგმებს, შესაბამისად, 9%-ითა (387 მლნ ლარით) და 0.7%-ით (41 მლნ ლარით) ჩამორჩა.


დიაგრამა 1. 2020 წლის 8 თვის მდგომარეობით შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულება კვარტალური განწერით განსაზღვრულ გეგმებთან.




შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების აღნიშნული ტენდენციების შედეგად, პირველი ექვსი თვის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი დაგეგმილი 1.4 მლრდ ლარის ნაცვლად 657 მლნ ლარით შემცირდა. 8 თვის მდგომარეობით კი ბიუჯეტის ნაშთის

კლების მაჩვენებელი 1.3 მლრდ ლარს შეადგენს და 9 თვის გეგმით განსაზღვრულ ნაშთის კლების მაჩვენებელს 865 მლნ ლარით ჩამორჩება.

დიაგრამა 2. შემოსულობების, გადასახდელებისა და ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების ყოველთვიური დინამიკა - 2021 წ. (მლნ ლარი)



დიაგრამა 3. აუქციონის გზით კომერციულ ბანკებში განთავსებული ნაშთის მოცულობა ყოველი თვის ბოლოს - 2021 წ. (მლნ ლარი)



ბიუჯეტის ნაშთის გამოყენებასთან ერთად ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების ნაშთის დინამიკა 2021 წლის რვა თვეში კლებადი ტენდენციით ხასიათდებოდა და იანვარ-აგვისტოს პერიოდში 1.95 მლრდ ლარიდან 1.05 მლრდ ლარამდე შემცირდა. დეპოზიტების განთავსება ძირითადად ხდებოდა ერთი და ნახევარ თვიანი ვადიანობით. აღსანიშნავია, რომ 2021 წელს ხაზინის მიერ განთავსებულ ყველა ვადიანობის დეპოზიტზე საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა საშუალოდ 2 პროცენტული პუნქტით.<sup>1</sup> შედეგად, 8 თვეში დეპოზიტებიდან მიღებულმა საპროცენტო შემოსავალმა 97.2 მლნ ლარი შეადგინა.

გარდა მოკლევადიანი დეპოზიტებისა, მთავრობის განკარგულების საფუძველზე<sup>2</sup> ეკონომიკის გრძელვადიანი საკრედიტო რესურსით უზრუნველყოფის მიზნით, 2020 წლის ივნისსა და ივლისში, კომერციული ბანკების სადეპოზიტო სერთიფიკატებში განთავსდა 594.3 მლნ ლარი, რომლის ვადაც 2028 წლის იანვარში იჭურება. შესაბამისად, 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, მთავრობის მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების ჯამური მოცულობა 1.6 მლრდ ლარს შეადგენს.

## 2. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები

სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით, შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა 11.2 მლრდ ლარის დონეზე განისაზღვრა, რაც 689 მლნ ლარით (6.6%-ით) აღემატება 2020 წლის

<sup>1</sup> ერთ თვიან დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი იანვარ-აგვისტოს პერიოდში 8.0%-დან 10.1%-მდე, ხოლო ექვს თვიან დეპოზიტებზე (თებერვალ-აგვისტოს პერიოდში) - 8.3%-დან 10.4%-მდე გაიზარდა.

<sup>2</sup> მთავრობის 2020 წლის 22 მაისის N 845 განკარგულება.

ფაქტობრივ მაჩვენებელს. 2021 წლის ივლისში, ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების წლიური გეგმა 1.1 მლრდ ლარით (9.6%-ით) გაიზარდა, რაც ძირითადად საგადასახადო შემოსავლების გეგმური მაჩვენებლის 720 მლნ ლარით (7%-ით) ზრდამ განაპირობა.

ცხრილი 2. 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები (მლნ ლარი).

|                             | 2021 წლის<br>ბიუჯეტის<br>კანონი<br>(1) | 2021 წლის<br>ბიუჯეტის კანონის<br>ცვლილება<br>(2) | 2021 წლის<br>9 თვის<br>გეგმა<br>(3) | 2021 წლის<br>8 თვის<br>ფაქტი<br>(4) | %<br>(4)/(1) | %<br>(4)/(2) | %<br>(4)/(3) |
|-----------------------------|----------------------------------------|--------------------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|--------------|--------------|--------------|
| საგადასახადო<br>შემოსავლები | 10,342                                 | 11,063                                           | 8,020                               | 7,032                               | 68.0%        | 63.6%        | 87.7%        |
| გრანტები                    | 287                                    | 386                                              | 328                                 | 283                                 | 98.5%        | 73.2%        | 86.1%        |
| სხვა შემოსავლები            | 550                                    | 800                                              | 611                                 | 560                                 | 101.7%       | 70.0%        | 91.5%        |
| <b>შემოსავლები</b>          | <b>11,179</b>                          | <b>12,249</b>                                    | <b>8,960</b>                        | <b>7,874</b>                        | <b>70.4%</b> | <b>64.3%</b> | <b>87.9%</b> |

8 თვის მდგომარეობით მიღებულმა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა 7.9 მლრდ ლარი და ცხრა თვის გეგმის 87.9%,<sup>3</sup> ხოლო წლიური გეგმის 64.3%<sup>4</sup> შეადგინა. საგადასახადო შემოსავლების სახით მობილიზებულ იქნა 7 მლრდ ლარი, რაც ცხრა თვის გეგმის 87.7%-ია. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური ზრდის დადებითი ტენდენციების გათვალისწინებით, 2022 წლის ბიუჯეტის კანონპროექტით ზრდის მიმართულებით გადაიხედა 2021 წლის როგორც ნომინალური, ასევე რეალური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები. აღნიშნული პროგნოზებით მოსალოდნელია საგადასახადო შემოსავლების გადაჭარბებით შესრულება სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მოქმედი რედაქციით განსაზღვრულ მაჩვენებლებთან მიმართებით.

ცხრილი 3. 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები (მლნ ლარი).

|                                     | 2021 წლის<br>ბიუჯეტის<br>კანონი<br>(1) | 2021 წლის<br>ბიუჯეტის კანონის<br>ცვლილება (2) | 2021 წლის<br>9 თვის<br>გეგმა (3) | 2021 წლის<br>8 თვის<br>ფაქტი<br>(4) | %<br>(4)/(1) | %<br>(4)/(2) | %<br>(4)/(3) |
|-------------------------------------|----------------------------------------|-----------------------------------------------|----------------------------------|-------------------------------------|--------------|--------------|--------------|
| საშემოსავლო<br>გადასახადი           | 3,315                                  | 3,405                                         | 2,471                            | 2,205                               | 66.5%        | 64.8%        | 89.3%        |
| მოგების გადასახადი                  | 951                                    | 951                                           | 765                              | 718                                 | 75.5%        | 75.5%        | 93.8%        |
| დღგ                                 | 4,347                                  | 4,747                                         | 3,431                            | 3,085                               | 71.0%        | 65.0%        | 89.9%        |
| აქციზი                              | 1,582                                  | 1,800                                         | 1,235                            | 1,111                               | 70.2%        | 61.7%        | 89.9%        |
| იმპორტის გადასახადი                 | 77                                     | 80                                            | 59                               | 54                                  | 70.2%        | 67.6%        | 91.4%        |
| სხვა გადასახადები                   | 70                                     | 80                                            | 59                               | -141                                | -200.8%      | -175.7%      | -239.8%      |
| <b>საგადასახადო<br/>შემოსავლები</b> | <b>10,342</b>                          | <b>11,063</b>                                 | <b>8,020</b>                     | <b>7,032</b>                        | <b>68.0%</b> | <b>63.6%</b> | <b>87.7%</b> |


2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით „ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი გადასახადების“ დაბრუნების ქვეანგარიშზე დაგროვებულმა ნაშთმა 579 მლნ ლარი შეადგინა და 46 მლნ ლარით გაიზარდა წლის დასაწყისში არსებულ ნაშთთან შედარებით. ქვეანგარიშზე

<sup>3</sup> 2020 წლის ანალოგიური მაჩვენებელი 94.7%-ს შეადგენდა.

<sup>4</sup> 2020 წლის ანალოგიური მაჩვენებელი 66.4%-ს შეადგენდა.

თანხების მიმართვა მარტში დაიწყო და ჯამურად, 8 თვის განმავლობაში გადატანილმა თანხამ 1.26 მლრდ ლარი შეადგინა. ამ პერიოდში ქვეანგარიშიდან გადასახადის გადამხდელებს დაუბრუნდა 1.21 მლრდ ლარი.

დიაგრამა 4. დაბრუნების ქვეანგარიშზე გადატანილი, ქვეანგარიშიდან გასული თანხებისა და ყოველი თვის ბოლოს არსებული ნაშთის დინამიკა - 2019-2021 წწ. (მლნ ლარი)



რაც შეეხება სხვა შემოსავლების კომპონენტებს, 8 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართულ იქნა 140.3 მლნ ლარის მოცულობის დივიდენდი, რაც 9 თვის გეგმის 99.8%-ს და წლიური გეგმის 73.5%-ს შეადგენს. აღნიშნული თანხის ძირითად ნაწილს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის მოგებიდან (140 მლნ ლარი) და სს „საქრუსენერგოს“ მოგებიდან (300 ათასი ლარი) მიღებულ დივიდენდებს. 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით, დივიდენდების გეგმურ მაჩვენებელში ასევე გათვალისწინებულია სს „სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 2018-2019 წლების მოგებიდან მისაღები 50 მლნ ლარი, რომლის მიმართვა ბიუჯეტში უნდა განხორციელდეს წლის ბოლომდე.

პროცენტის სახით 8 თვეში მიღებულია 187 მლნ ლარის შემოსავალი, რაც 9 თვის გეგმის 98.8%-ს და წლიური გეგმის 84.9%-ს შეადგენს. საპროცენტო შემოსავლების აღნიშნული ტენდენციისა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ წლის ბოლომდე შემოსავლების ჭარბი მობილიზების პირობებში ადგილი ექნება ბიუჯეტის ნაშთის გეგმურზე მეტი ოდენობით დაგროვებას, მოსალოდნელია საპროცენტო შემოსავლების ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმურ მაჩვენებელზე გადაჭარბება.

აღსანიშნავია, რომ 8 თვის მდგომარეობით გეგმიდან ჩამორჩენით ხასიათდება არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსულობების მაჩვენებელი. კერძოდ, ამ კომპონენტში მობილიზებულია 95.7 მლნ ლარი, რაც 9 თვის გეგმის (161.3 მლნ ლარი) 59.3%-ს და წლიური გეგმის (350 მლნ ლარი) მხოლოდ 27.3%-ს შეადგენს.

### 3. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2021 წლის 8 თვის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მოცულობამ 12.9 მლრდ ლარი და წლიური გეგმის 66% შეადგინა.<sup>5</sup> აღსანიშნავია, რომ გადასახდელების შესრულების მაღალი მაჩვენებელი ნაწილობრივ გამოწვეულია აპრილში 500 მლნ აშშ დოლარის (1.7 მლრდ ლარი) ნომინალური ღირებულების ევროობლიგაციების დაფარვით, რომელსაც ერთჯერადი ეფექტი გააჩნია. აღნიშნული ეფექტის გამორიცხვით<sup>6</sup> გადასახდელების შესრულების მაჩვენებელი 62.9%-ს შეადგენს.

ცხრილი 4. 2021 წლის 8 თვის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების შესრულების მაჩვენებლები (მლნ ლარი).

|                                | 2021 წლის<br>ბიუჯეტის<br>კანონი<br>(1) | 2021 წლის<br>ბიუჯეტის კანონის<br>ცვლილება<br>(2) | 2021 წლის 9<br>თვის გეგმა<br>(3) | 2021 წლის 8<br>თვის ფაქტი<br>(4) | %<br>(4)/(2) | %<br>(4)/(3) |
|--------------------------------|----------------------------------------|--------------------------------------------------|----------------------------------|----------------------------------|--------------|--------------|
| ხარჯები                        | 12,758                                 | 13,899                                           | 10,355                           | 8,841                            | 63.6%        | 85.4%        |
| არაფინანსური<br>აქტივების ზრდა | 2,417                                  | 2,546                                            | 1,788                            | 1,415                            | 55.6%        | 79.1%        |
| ფინანსური<br>აქტივების ზრდა    | 403                                    | 317                                              | 260                              | 222                              | 70.1%        | 85.4%        |
| ვალდებულებების<br>კლება        | 2,807                                  | 2,737                                            | 2,466                            | 2,384                            | 87.1%        | 96.7%        |
| <b>გადასახდელები</b>           | <b>18,385</b>                          | <b>19,499</b>                                    | <b>14,869</b>                    | <b>12,862</b>                    | <b>65.9%</b> | <b>86.5%</b> |


გასულ წლებთან შედარებით გადასახდელების ათვისების მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად (8 თვეში), საბიუჯეტო წლის პირველ ორ კვარტალში (ბიუჯეტის კვარტალური განწერით განსაზღვრულ გეგმებთან მიმართებით) გადასახდელები ჩამორჩენით ხასიათდებოდა. აღნიშნულ პერიოდში ათვისებულმა თანხამ ჯამურად 428 მლნ ლარი შეადგინა. კერძოდ, პირველ კვარტალში ჩამორჩენა 387 მლნ ლარს (9%), ხოლო მეორე კვარტალში 41 მლნ ლარს (0.7%) გაუტოლდა.

- პირველ კვარტალში გადასახდელების გეგმიდან ჩამორჩენა ძირითადად „ხარჯების“ და „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლების გეგმებიდან ჩამორჩენამ განაპირობა, შესაბამისად, 10.8%-ით (374.5 მლნ ლარით) და 39.4%-ით (49.5 მლნ ლარით);
- მეორე კვარტალში ადგილი ჰქონდა გადასახდელების გეგმიდან მცირე ჩამორჩენას, რაც „ხარჯებისა“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლების გეგმებიდან, შესაბამისად, 1.2%-ით (42.9 მლნ ლარით) და 4.7%-ით (30.2 მლნ ლარით) ჩამორჩენამ გამოიწვია;
- მესამე კვარტალის გადასახდელებიდან ორი თვის მდგომარეობით ათვისებულია 64.1% (2.8 მლრდ ლარი) და გეგმური მაჩვენებლის შესასრულებლად კვარტალის ბოლო თვეში (სექტემბერში) ასათვისებელი თანხა 1.6 მლრდ ლარს შეადგენს.

<sup>5</sup> 2020 და 2019 წლების ანალოგიური მაჩვენებლებია, შესაბამისად, 60.1% და 61.7%.

<sup>6</sup> ეფექტის გამოსარიცხად ევროობლიგაციის დაფარვისთვის გადარიცხული თანხა გამოკლებულია გადასახდელების როგორც ფაქტობრივი, ისე გეგმური მაჩვენებლიდან.


დიაგრამა 5. გადასახდელების კომპონენტების შესრულების მაჩვენებლები კვარტალურ გეგმებთან მიმართებაში - 2021 წლის 8 თვე.




გასულ წლებთან შედარებით, გადასახდელების ათვისების თანაბარზომიერება გაუმჯობესებულია, თუმცა ამ კუთხით გამოწვევები ისევ რჩება. 8 თვის მონაცემებით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების საშუალოთვიური მაჩვენებელი 1.6 მლრდ ლარს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი მოიცავს 500 მლნ აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების ევროობლიგაციების დასაფარად აპრილში გადარიცხულ 1.7 მლრდ ლარს. ამ ვალდებულების დაფარვა ერთჯერადი ხასიათისაა და გარკვეულწილად აუმჯობესებს გადასახდელების შესრულების დინამიკის მაჩვენებელს. აღნიშნული ეფექტის გამორიცხვით, 8 თვის გადასახდელების საშუალოთვიური მაჩვენებელი 1.4 მლრდ ლარს შეადგენს.

იმ შემთხვევაში, თუ ბიუჯეტის კანონის მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული გადასახდელების წლიური გეგმა შესრულდება, წლის ბოლო ოთხ თვეში გადასახდელების საშუალოთვიური მაჩვენებელი 1.66 მლრდ ლარს გაუტოლდება და ევროობლიგაციის დაფარვის ეფექტის გამორიცხვის შედეგად მიღებულ პირველი რვა თვის საშუალო მაჩვენებელს 19.0%-ით გადააჭარბებს<sup>7</sup>.

დიაგრამა 6. გადასახდელებისა და მისი კომპონენტების ყოველთვიური დინამიკა - 2019-2021 წწ. (მლნ ლარი)



<sup>7</sup> 2019 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 24.2%-ს, ხოლო 2020 წელს - 32.8%-ს შეადგენდა.



გადასახდელების აღნიშნული ტენდენცია „ხარჯების“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლების დინამიკითაა განპირობებული. კერძოდ, „ხარჯების“ მუხლში წლიური გეგმის შესრულების შემთხვევაში, წლის ბოლო ოთხ თვეში ასათვისებელი რესურსის საშუალოთვიური მაჩვენებელი, პირველ რვა თვეში დახარჯული რესურსის საშუალოთვიურ მაჩვენებელს 14.4%-ით გადააჭარბებს. „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის შემთხვევაში კი ანალოგიური მაჩვენებელი 60%-ს შეადგენს.

8 თვის მონაცემებით, გადასახდელების მნიშვნელოვანი ნაწილი, გასული წლების მსგავსად, წლის ბოლო ოთხ თვეშია აკუმულირებული. ამასთანავე, როგორც გასული წლების პრაქტიკა აჩვენებს, გადასახდელების ათვისება წლის ბოლო თვეებში თანაბარზომიერად არ მიმდინარეობდა და ძირითადად კონცენტრირებულია დეკემბერზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, როგორც მხარჯავი დაწესებულებების ისე მაკოორდინირებელი უწყების მხრიდან, ყურადღება მიექცეს გამოყოფილი რესურსის დროულ ათვისებას, რათა არ მოხდეს საბიუჯეტო თანხების დიდი ნაწილის წლის ბოლო თვეში დახარჯვა.

### 3.1. საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული ანალიზით, საბიუჯეტო ორგანიზაციების ჭრილში ვლინდება ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესში არსებული ხარვეზები, რაც გამოიხატება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ ხარჯთაღრიცხვის ცვლილებებისა და დაბალი ათვისების მქონე პროგრამებისა და ქვეპროგრამების არსებობაში.

#### □ ბიუჯეტის დაგეგმვა და დაზუსტება


საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტის შესრულების პროცესში ხშირად ხორციელდება ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული ასიგნებების გადანაწილებები, განსაკუთრებით ქვეპროგრამებისა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების დონეზე. აღნიშნული ქმნის ცალკეული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების

დაფინანსებისათვის საჭირო სახსრების დეფიციტის და დასახული მიზნების მიღწევის რისკს. კერძოდ, რიგ შემთხვევებში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წლის განმავლობაში ადგილი აქვს რესურსების მობილიზებას ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ასიგნებების ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინება (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 1-ში).

## □ ბიუჯეტის შესრულება

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების ათვისების საშუალო მაჩვენებელმა 8 თვის მდგომარეობით 9 თვის დამტკიცებული გეგმის 77.4%, ხოლო დაზუსტებული გეგმის 75.4% შეადგინა.<sup>8</sup>

დიაგრამა 7. პროგრამების/ქვეპროგრამების განაწილება 8 თვის ათვისების მაჩვენებლის მიხედვით 9 თვის დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმებთან მიმართებით - 2021 წ.



პროგრამების ანალიზის ფარგლებში გამოვლინდა დაბალი ათვისების ტენდენციები შემდეგი მიმართულებებით:

1. ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული 18 ქვეპროგრამის ფარგლებში 8 თვის განმავლობაში ასიგნებები არ იქნა ათვისებული, რაც წლის ბოლომდე ამ ქვეპროგრამებისთვის გამოყოფილი დაფინანსების სრულად გამოყენებას ეჭვქვეშ აყენებს (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 2-ში);
2. გარკვეული პროგრამები/ქვეპროგრამები ათვისების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდებიან როგორც კვარტალური განწერით დამტკიცებულ, ასევე დაზუსტებულ 9 თვის გეგმასთან მიმართებით. ჯამურად, 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით 8 თვეში ათვისებული ასიგნებების მაჩვენებელი 60%-ზე ნაკლებია 24 პროგრამისა და 69 ქვეპროგრამისთვის (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 2-ში);

<sup>8</sup> მაჩვენებელი არ მოიცავს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს და საქართველოს საპატრიარქოს მიერ განხორციელებულ პროგრამებს. გარდა ამისა გადასახდელები არ მოიცავს მიზნობრივ გრანტებს, რადგან მათ არ გააჩნიათ გეგმური მაჩვენებელი და აისახებიან მხოლოდ ფაქტობრივად გაწეულ გადასახდელებში (საკასო ხარჯში).

3. ზოგიერთი პროგრამა/ქვეპროგრამა, რომელსაც 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით ათვისების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აქვს, ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ წლიურ გეგმასთან მიმართებით შესრულების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება, რაც გამოწვეულია პროგრამებისთვის/ქვეპროგრამებისთვის განკუთვნილი ასიგნებების ათვისებული ნაწილის გადანაწილებით სხვა პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 2-ში).

### 3.2. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების გეგმური მაჩვენებელი 46 მლნ ლარით გაიზარდა და 4.8 მლრდ ლარს გაუტოლდა. ცვლილება ძირითადად შეეხო „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის“ გეგმურ მაჩვენებელს, რომელიც 130 მლნ ლარით გაიზარდა და 410 მლნ ლარი შეადგინა. 120 მლნ ლარით შემცირდა საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის კომპონენტი და 3 მლრდ ლარის დონეზე განისაზღვრა.

8 თვის მდგომარეობით, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ათვისების მაჩვენებელი (3.7 მლრდ ლარი) წლიური გეგმის 77%-ს, ხოლო 9 თვის გეგმის 97%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ 2 პროგრამის შემთხვევაში<sup>9</sup> („საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი რეფორმების ფინანსური მხარდაჭერა“ (56 12) და „2020–2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დაფინანსება მუნიციპალიტეტებში“ (56 14)), გამოყოფილი თანხები არ ათვისებულა.

რაც შეეხება საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების სხვა კომპონენტებს:

- **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან** 8 თვის მდგომარეობით გადარიცხულია 191 მლნ ლარი, რაც 9 თვის გეგმის 109%-ს,<sup>10</sup> ხოლო წლიური გეგმის 47%-ს შეადგენს.<sup>11</sup> ათვისების მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად უნდა აღინიშნოს, რომ ფონდისთვის გამოყოფილი რესურსის ძირითადი ნაწილის ხარჯვა (235 მლნ ლარი) დაგეგმილია მეოთხე კვარტალში;
- **მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის** წლიური გეგმა ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით 15 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა. 8 თვის მდგომარეობით, ფონდიდან გამოყოფილია 5.2 მლნ ლარი, რაც 9 თვის გეგმის 74%, ხოლო წლიური გეგმის 35%-ია.

<sup>9</sup> საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი რეფორმების ფინანსური მხარდაჭერა (56 12) – 9 თვის გეგმა შეადგენს 4 მლნ ლარს, წლიური გეგმა - 5 მლნ ლარს; 2020–2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დაფინანსება მუნიციპალიტეტებში (56 14) – 9 თვის გეგმა შეადგენს 15 მლნ ლარს, წლიური გეგმა - 30 მლნ ლარს.


<sup>10</sup> 2020 წლის ანალოგიურმა მაჩვენებელმა 93% შეადგინა.

<sup>11</sup> 2020 წლის ანალოგიურმა მაჩვენებელმა 52% შეადგინა.

### 3.3. პანდემიის საპასუხოდ გასატარებელი ღონისძიებები

სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით კორონავირუსის (COVID 19) პანდემიის საპასუხოდ გასატარებელი ღონისძიებებისათვის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში 977 მლნ ლარი გამოიყო. კანონში განხორციელებული ცვლილებებით დაფინანსების მოცულობა 43.1%-ით გაიზარდა და 1.4 მლრდ ლარს გაუტოლდა. მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით გამოიყო 871 მლნ ლარი, სოციალური დაცვისა და ბიზნესის/ეკონომიკის ხელშეწყობის ღონისძიებებისთვის კი შესაბამისად, 250 მლნ და 277 მლნ ლარი. 8 თვის მდგომარეობით, პანდემიის საპასუხოდ გასატარებელ ღონისძიებებზე გამოყოფილი ასიგნებების ათვისების მაჩვენებელი 75.2%-ს (1.1 მლრდ ლარს) შეადგენს (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 3-ში).

დიაგრამა 8. პანდემიის საპასუხოდ გასატარებელ ღონისძიებებზე გამოყოფილი დაფინანსების გეგმური და ფაქტობრივი მაჩვენებლები, სექტორების მიხედვით (მლნ ლარი).<sup>12</sup>



## 4. სახელმწიფო და მთავრობის ვალი

2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით სახელმწიფო ვალის<sup>13</sup> მოცულობა 30.5 მლრდ ლარს შეადგენს, რაც 2020 წლის ბოლოს არსებულ მაჩვენებელზე 292 მლნ ლარით ნაკლებია. ვალის ნაშთის შემცირება ძირითადად გამოწვეულია ეროვნული ვალუტის გამყარებითა და საშინაო ვალის ნაშთის შემცირებით. სახელმწიფო ვალის არსებული მოცულობა ბიუჯეტის კანონით დადგენილი ზღვრული მაჩვენებლის (32.3 მლრდ ლარი) 94.6%-ია.

<sup>12</sup> ჯანმრთელობის დაცვის სექტორის 8 თვის ფაქტი მოიცავს „ახალი COVID - 19 ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების მართვა (30 01 14)“ ქვეპროგრამის ხარჯს - 1.7 მლნ ლარის ოდენობით, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული არ ყოფილა.

<sup>13</sup> სახელმწიფო ვალი განმარტებულია „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით. სახელმწიფო ვალი მოიცავს სახელმწიფო მმართველობის სექტორისა და ეროვნული ბანკის ვალს IMF-ის მიმართ.

რაც შეეხება მთავრობის ვალს,<sup>14</sup> 31 აგვისტოს მდგომარეობით მისი მოცულობა 29.1 მლრდ ლარს შეადგენს და 2020 წლის ბოლოს არსებულ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 592 მლნ ლარით (2.0%-ით).

ცხრილი 5. მთავრობის ვალის სტრუქტურა 2021 წლის 8 თვის მდგომარეობით (მლნ ლარი).

|                                                       | 2020 წლის<br>ნაშთი | 2021 წლის<br>ბიუჯეტის<br>კანონი | 2021 წლის<br>ბიუჯეტის<br>კანონი<br>(ცვლილება) | 2021 წლის<br>8 თვის<br>ნაშთი | 8 თვის<br>ნაშთის<br>წილი მშპ-<br>ში <sup>15</sup> |
|-------------------------------------------------------|--------------------|---------------------------------|-----------------------------------------------|------------------------------|---------------------------------------------------|
| <b>მთავრობის საგარეო ვალი</b>                         | <b>23,467</b>      | <b>26,159</b>                   | <b>24,825</b>                                 | <b>23,589</b>                | <b>40.4%</b>                                      |
| მრავალმხრივი კრედიტორები                              | 16,417             | 18,912                          | 17,932                                        | 17,128                       |                                                   |
| ორმხრივი კრედიტორები                                  | 5,406              | 5,585                           | 5,314                                         | 4,897                        |                                                   |
| ევრო-ობლიგაციები                                      | 1,638              | 1,657                           | 1,574                                         | 1,559                        |                                                   |
| გარანტირებული კრედიტები                               | 6                  | 5                               | 5                                             | 5                            |                                                   |
| <b>მთავრობის საშინაო ვალი</b>                         | <b>6,205</b>       | <b>5,952</b>                    | <b>5,983</b>                                  | <b>5,491</b>                 | <b>9.4%</b>                                       |
| სახაზინო ფასიანი ქაღალდები                            | 5,792              | 5,633                           | 5,642                                         | 5,127                        |                                                   |
| სხვა სახელმწიფო ფასიანი<br>ქაღალდები                  | 353                | 313                             | 313                                           | 331                          |                                                   |
| საბიუჯეტო ორგანიზაციების<br>სესხის სახით არსებულ ვალი | 59 <sup>16</sup>   | 7                               | 28                                            | 33                           |                                                   |
| <b>მთავრობის ვალი</b>                                 | <b>29,672</b>      | <b>32,111</b>                   | <b>30,808</b>                                 | <b>29,080</b>                | <b>49.8%</b>                                      |


მთავრობის ვალის შემცირება, ერთი მხრივ, გამოწვეულია საშინაო ვალის კომპონენტის 713 მლნ ლარით კლებით, ხოლო მეორე მხრივ, ეროვნული ვალუტის გამყარების შედეგად საგარეო ვალის კომპონენტის შემცირებით. კერძოდ, მთავრობის ვალის შემცირებაში ლარის გამყარების ეფექტი 1.8 მლრდ ლარია, რამაც დააბალანსა წლის განმავლობაში საგარეო წყაროებიდან აღებული 1.9 მლრდ ლარის ოდენობის ახალი სესხების ეფექტი. შედეგად, მთავრობის საგარეო ვალი მხოლოდ 121 მლნ ლარით გაიზარდა.

<sup>14</sup> „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიზნებისთვის, მთავრობის ვალი მოიცავს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო ვალს, IMF-ის მიმართ ეროვნული ბანკის ვალის გამოკლებით და დამატებით მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციების, მუნიციპალიტეტებისა და სსიპ-ების სესხების სახით არსებულ ვალდებულებებს.


<sup>15</sup> მშპ-ს შემთხვევაში აღებულია 2022 წლის ბიუჯეტის კანონპროექტზე თანდართულ BDD დოკუმენტში წარმოდგენილი 2021 წლის ნომინალური მშპ-ს პროგნოზი.

<sup>16</sup> თანხაში ასახულია 2020 წლის ბოლოს ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ კომერციული ბანკებიდან აღებული მოკლევადიანი სესხები, ჯამურად 18.4 მლნ ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა განხორციელდა 2021 წელს. აღნიშნული თანხა არ არის გათვალისწინებული ფინანსთა სამინისტროს მონაცემებში.

დიაგრამა 9. მთავრობის საგარეო ვალის მოცულობის ცვლილებაში ლარის გაცვლითი კურსისა და ახალი სესხების აღების ეფექტი ვალუტების მიხედვით - 2020-2021 (8 თვე) წწ. (მლნ ლარი)




დიაგრამა 10. მთავრობის საგარეო ვალის მოცულობის ცვლილებაში ლარის გაცვლითი კურსისა და ახალი სესხების აღების ეფექტი წლების მიხედვით - 2017-2021 (8 თვე) წწ. (მლნ ლარი)




2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, მთავრობის საგარეო ვალის პორტფელი 6 სხვადასხვა ვალუტაში<sup>17</sup> აღებული სესხებისგან შედგება. აქედან ძირითადი ნაწილი ევროში დენომინირებული სესხებია, რაც მთავრობის საგარეო ვალის 49.5%-ს შეადგენს და 2020 წლის ბოლოს არსებულ მაჩვენებელს 4.6 პროცენტული პუნქტით აღემატება. დოლარსა და SDR-ში<sup>18</sup> დენომინირებული ვალდებულებების წილი კი 2020 წელთან შედარებით შემცირებულია.

დიაგრამა 11. 2018-2021 (8 თვე) წწ. პერიოდში მთავრობის საგარეო ვალის სტრუქტურა ვალუტების მიხედვით.



დიაგრამა 12. წლის ბოლოს დაფიქსირებული ლარის გაცვლითი კურსის %-ული ცვლილება - 2017-2021 წწ.



<sup>17</sup> აშშ დოლარი, ევრო, ნასესხობის სპეციალური უფლება (SDR), ჩინური იუანი, იაპონური იენი, ქუვეითური დინარი.

<sup>18</sup> SDR - წარმოადგენს საერთაშორისო სარეზერვო აქტივს, რომლის ღირებულებაც ემყარება 5 ვალუტას: აშშ დოლარს, ევროს, ჩინურ იუანს, იაპონურ იენს და დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგს.

<https://www.imf.org/en/About/Factsheets/Sheets/2016/08/01/14/51/Special-Drawing-Right-SDR>

#### 4.1. საგარეო წყაროებიდან მიღებული კრედიტები

2021 წლის 8 თვის მდგომარეობით, კრედიტების სახით საგარეო წყაროებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზდა 4.1 მლრდ ლარი, რაც 9 თვის გეგმის 97.1%-სა და წლიური გეგმის 78.6%-ს შეადგენს. მიღებული კრედიტების 19.7% (818 მლნ ლარი) საინვესტიციო ხასიათისაა, ხოლო 80.3% (3.3 მლრდ ლარი) - ბიუჯეტის მხარდამჭერი. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტებს, საინვესტიციო კრედიტებისგან განსხვავებით, წინასწარ განსაზღვრული მიზნობრიობა უმრავლეს შემთხვევაში არ გააჩნია და ბიუჯეტის მიმდინარე საჭიროებების დაფინანსებას ემსახურება. წლის განმავლობაში მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები სესხების (1.6 მლრდ ლარი) კომპონენტის გარდა ასევე მოიცავს ევროობლიგაციების ემისიით 2021 წელს მობილიზებულ ფინანსურ რესურსს - 1.7 მლრდ ლარის ოდენობით.<sup>19</sup> აღნიშნული ემისია 2011 წელს გამოშვებული 10 წლის ვადიანობის მქონე 500 მლნ აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების მქონე ევროობლიგაციების რეფინანსირებას ემსახურებოდა.

ცხრილი 6. 2021 წლის 8 თვის მდგომარეობით საგარეო კრედიტების სახით მიღებული შემოსულობები (მლნ ლარი).

|                                    | 2021 წლის ბიუჯეტის კანონი | 2021 წლის 8 თვის ფაქტი | შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებით (%) |
|------------------------------------|---------------------------|------------------------|------------------------------------------|
| <b>საგარეო კრედიტები</b>           | <b>5,274</b>              | <b>4,147</b>           | <b>78.6%</b>                             |
| საინვესტიციო                       | 1,390                     | 818                    | 58.8%                                    |
| ბიუჯეტის მხარდამჭერი <sup>20</sup> | 3,884                     | 3,329                  | 85.7%                                    |

ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით, 1.5 მლრდ ლარის მოცულობის შეღავათიანი საინვესტიციო კრედიტით დაიგეგმა 53 საინვესტიციო პროექტის დაფინანსება. ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით დაფინანსების გეგმური მაჩვენებელი 1.4 მლრდ ლარამდე შემცირდა, დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობა კი 55-მდე<sup>21</sup> გაიზარდა. ასევე, ნულოვანი გეგმის მქონე 6 საინვესტიციო პროექტის ფარგლებში<sup>22</sup> 8 თვის განმავლობაში დაიხარჯა ჯამურად 8 მლნ ლარი.

**8 თვის ათვისების ტენდენციის გათვალისწინებით, ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული საინვესტიციო პროექტების ნაწილი ათვისების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება.** კერძოდ, 16 პროექტის შემთხვევაში, საკრედიტო რესურსის ათვისების მაჩვენებელი 9 თვის გეგმის 40%-ზე ნაკლებია, მათ შორის 6 პროექტის შემთხვევაში ადგილი აქვს ნულოვან ათვისებას. აღნიშნულ პროექტებზე კვარტალური განწერით განსაზღვრული 9 თვის გეგმით, ჯამურად

<sup>19</sup> 2021 წლის აპრილში, ფინანსთა სამინისტრომ ლონდონის საფონდო ბირჟაზე განათავსა 500 მლნ აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების 5 წლიანი ვადიანობის მქონე ევროობლიგაციები, რომლის კუპონის განაკვეთი 2.75%-ს შეადგენს.


<sup>20</sup> მოიცავს ევროობლიგაციის ემისიის შედეგად მიღებულ 1.7 მლრდ ლარს.

<sup>21</sup> დაემატა 1 ახალი პროექტი: COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტის დამატებითი დაფინანსება (WB) (27 03 03 10 03)

<sup>22</sup> ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია, ფაზა III (KfW, EU) (56 13 08); მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა (ADB) (25 03 02); აჭარის სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, საქართველო (EU, KfW) (56 13 05); მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების დახმარებისა და კრიზისიდან გამოყვანის პროექტი - პროგრამები (WB) (24 07 02 03 01); თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამისთვის - პროექტი (ADB) (32 19); საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (ADB) (56 13 09).

გათვალისწინებულია 209.7 მლნ ლარის მიმართვა, საიდანაც 8 თვის მდგომარეობით ათვისებულია მხოლოდ 20.9 მლნ ლარი (10%) (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 4-ში).

დიაგრამა 13. საინვესტიციო პროექტების განაწილება 9 თვის გეგმასთან მიმართებით 8 თვის მდგომარეობით ათვისებული თანხების მიხედვით<sup>23</sup> - 2021 წ.



საკრედიტო რესურსის სახით მობილიზებული სახსრების დროული ათვისება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ტიპის სესხებისათვის, რომლებიც ითვალისწინებს ვალდებულების გადასახადის (Commitment Fee) გადახდას კრედიტის ათვისებულ ნაწილზე<sup>24</sup>, რადგან პროექტის დაგეგმილზე დაგვიანებით განხორციელება იწვევს კრედიტის მომსახურების ხარჯების ზრდას. ვალდებულების გადასახადის გადახდა იწყება სესხის ეფექტურად გახდომის შემდეგ და ერიცხება კრედიტის ათვისებულ ნაწილზე, მიუხედავად იმისა მიმდინარეობს თუ არა სესხის ათვისება.

## 4.2. საშინაო ვალი

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, 2021 წლის 8 თვის მდგომარეობით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონის მეშვეობით განხორციელდა 663 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებებისა და ობლიგაციების ემისია, რის შედეგადაც სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზდა 659 მლნ ლარი, მათ შორის 9.9 მლნ ლარი პრემიუმის სახით.

ცხრილი 8. სახაზინო ვალდებულებების/ობლიგაციების ემისია - 2021 წლის 8 თვე (მლნ ლარი).<sup>25</sup>

|                                  | ნომინალური<br>ღირებულება<br>(ემისიის<br>მოცულობა) | დისკონტი | პრემიუმი | ფაქტობრივი<br>შემოსულობა<br>სახელმწიფო ბიუჯეტში<br>(ძირი თანხა) |
|----------------------------------|---------------------------------------------------|----------|----------|-----------------------------------------------------------------|
| 6-თვიანი სახაზინო ვალდებულებები  | 90                                                | 3.8      |          | 86                                                              |
| 12-თვიანი სახაზინო ვალდებულებები | 90                                                | 7.1      |          | 83                                                              |
| 2-წლიანი სახაზინო ობლიგაციები    | 120                                               | 0.2      | 0.8      | 121                                                             |

<sup>23</sup> არ მოიცავს იმ საინვესტიციო პროექტებს, რომელთა ფარგლებში 9 თვის განმავლობაში არ იყო დაგეგმილი თანხების ათვისება (14 პროექტი).

<sup>24</sup> საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯამური თანხის ათვისებულ ნაწილზე.

<sup>25</sup> სხვაობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჯამურ მაჩვენებელსა და მისი შემადგენელი კომპონენტების ჯამს შორის გამოწვეულია მათემატიკური დამრგვალებით.

|                                |            |           |           |            |
|--------------------------------|------------|-----------|-----------|------------|
| 5-წლიანი სახაზინო ობლიგაციები  | 295        | 3.5       | 0.4       | 292        |
| 10-წლიანი სახაზინო ობლიგაციები | 69         |           | 8.8       | 78         |
| <b>ჯამი:</b>                   | <b>663</b> | <b>15</b> | <b>10</b> | <b>659</b> |

### 4.3. სახელმწიფო ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები

2021 წლის 8 თვის მდგომარეობით, სახელმწიფო ვალის მომსახურებასა და დაფარვაზე (გარდა IMF-ის მიმართ ეროვნული ბანკის ვალის მომსახურებისა და დაფარვისა) მიიმართა 4.2 მლრდ ლარი, რაც წლიური გეგმის 80.8%-ს შეადგენს.

ცხრილი 9. სახელმწიფო ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები - 2021 წლის 8 თვე (მლნ ლარი).

|                                                                     | 2021 წლის ბიუჯეტის<br>კანონი | 8 თვის ფაქტი | 8 თვის ათვისება<br>წლიურ გეგმასთან |
|---------------------------------------------------------------------|------------------------------|--------------|------------------------------------|
| <b>საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების<br/>მომსახურება და დაფარვა</b> | <b>3,028</b>                 | <b>2,542</b> | <b>83.9%</b>                       |
| ძირი                                                                | 2,690                        | 2,338        | 86.9%                              |
| პროცენტი                                                            | 338                          | 204          | 60.3%                              |
| <b>საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების<br/>მომსახურება და დაფარვა</b> | <b>2,230</b>                 | <b>1,705</b> | <b>76.5%</b>                       |
| ძირი                                                                | 1,700                        | 1,346        | 79.2%                              |
| პროცენტი                                                            | 530                          | 359          | 67.7%                              |
| <b>სულ სახელმწიფო ვალდებულებების<br/>მომსახურება და დაფარვა</b>     | <b>5,258</b>                 | <b>4,247</b> | <b>80.8%</b>                       |

2021 წელს სახელმწიფო ვალის მომსახურებისა და დაფარვისათვის გაწეული ხარჯების უდიდესი ნაწილი (59.9%) საგარეო ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯებზე მოდის. კერძოდ, 8 თვის მდგომარეობით, საგარეო ვალის ძირი თანხის დაფარვის მაჩვენებელმა 2.3 მლრდ ლარი შეადგინა, საიდანაც 1.7 მლრდ ლარით განხორციელდა 2011 წელს გამოშვებული 10 წლიანი ევროობლიგაციის დაფარვა. საგარეო ვალზე გადახდილმა საპროცენტო ხარჯმა 204 მლნ ლარი შეადგინა.

რაც შეეხება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონით განსაზღვრული მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯებს, 2021 წლის 8 თვის მდგომარეობით გარდა ცხრილში ასახული მონაცემებისა, „საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ვალის“ კომპონენტში განხორციელდა 32.3 მლნ ლარის ძირი<sup>26</sup> და 2.5 მლნ ლარის ოდენობის პროცენტის გადახდა.

<sup>26</sup> მათ შორის, 2020 წელს ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ აღებული სესხი 18.4 მლნ ლარის ოდენობით, რომელიც 2020 წლის ბოლოს დაფიქსირებულ მთავრობის ვალის ნაშთში აღრიცხული არ იყო.

## დანართი 1. ბიუჯეტის დაგეგმვა და დაზუსტება - მაგალითები

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p>1. წლის განმავლობაში, ასიგნებებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ადგილი აქვს თანხების მიმართვას ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა ასიგნებების ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზევე გათვალისწინება.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                      |
| <ul style="list-style-type: none"> <li>• რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ორ ქვეპროგრამაში - შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი (WB) (25 02 02 13) და საქართველოში საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება და განახლებადი-ალტერნატიული ენერგიის გამოყენება (E5P, NEFCO) (25 03 06), წლის განმავლობაში სხვა პროგრამებიდან/ქვეპროგრამებიდან გადატანილ იქნა შესაბამისად, 6 მლნ და 2.5 მლნ ლარი. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეპროგრამებზე 2020 წელსაც გახდა საჭირო თანხების დამატება.</li> <li>• შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვეპროგრამის - „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი“ (30 01 01) 2021 წლის გეგმა 306 მლნ ლარის დონეზე განისაზღვრა. აგვისტოს ჩათვლით ამ ქვეპროგრამიდან სამინისტროს სხვადასხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე გადანაწილდა თანხები. მათ შორის, 9 მლნ ლარი მიიმართა ქვეპროგრამაზე - „სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება“ (30 06 01).</li> <li>• გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვეპროგრამაში - „იმერეთის აგროზონა“ (31 05 16) ბიუჯეტის მომზადების ეტაპზე სამინისტროს მიერ საბიუჯეტო განაცხადით მოთხოვნილ იქნა 2 მლნ ლარი, რომელიც არ იქნა გათვალისწინებული. თუმცა ბიუჯეტის კანონში ივლისში განხორციელებული ცვლილებით, ქვეპროგრამაზე გამოიყო აღნიშნული თანხა, რომელიც 8 თვის მდგომარეობით სრულადაა ათვისებული.</li> </ul> |

## დანართი 2. დაბალი ათვისების მქონე პროგრამები - მაგალითები

ნულოვანი ათვისების მქონე ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის მაჩვენებლები - 2021 წ. (ათასი ლარი).

| პროგრამის დასახელება                                                                               | ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული გეგმა (1) | 9 თვის დამტკიცებული გეგმა (2) | 9 თვის დაზუსტებული გეგმა (3) | 8 თვის ფაქტი (4) |
|----------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------|-------------------------------|------------------------------|------------------|
| <b>ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</b>                                              |                                         |                               |                              |                  |
| ქვეყნის ბრენდის განვითარების ღონისძიებები (24 01 02)                                               | 500                                     | 100                           | 100                          | 0                |
| ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საფოსტო კავშირის განვითარება (24 01 03) | 150                                     | 120                           | 120                          | 0                |
| შრომის ბაზრის ანალიზი (24 01 05)                                                                   | 300                                     | 300                           | 300                          | 0                |
| <b>რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო</b>                                       |                                         |                               |                              |                  |
| მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის წიწამური-ჟინვალის მონაკვეთის მშენებლობა (25 02 03 16) | 1,000                                   | 750                           | 0                            | 0                |
| ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტებში (25 07 04)                     | 5,000                                   | 5,000                         | 2,000                        | 0                |

| ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო                                                                                                                                                |        |       |       |   |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------|-------|-------|---|
| სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული 18-21 წლამდე ახალგაზრდების საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა (27 02 03 02 13)                                                                                                                        | 40     | 31    | 23    | 0 |
| საქართველოში აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების მხარდაჭერა, აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა სიცოცხლის მაჩვენებლების გაუმჯობესება მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერების გზით (27 03 02 07 03) | 3,100  | 1,100 | 0     | 0 |
| თავდაცვის სამინისტრო                                                                                                                                                                                                                     |        |       |       |   |
| GDRP-ში მონაწილე ქვედანაყოფების წვრთნა (29 09 02 01)                                                                                                                                                                                     | 8,760  | 6,760 | 900   | 0 |
| გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო                                                                                                                                                                                                 |        |       |       |   |
| ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის ღონისძიებები (31 01 04)                                                                                                                                                                               | 400    | 250   | 143   | 0 |
| მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა (31 05 09)                                                                                                                                                                      | 150    | 100   | 100   | 0 |
| ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის ღონისძიებები (31 09 04)                                                                                                                                                                                    | 250    | 250   | 250   | 0 |
| ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის ინვენტარიზაციის სახელმწიფო პროგრამა (31 15 02)                                                                                                                                                           | 300    | 150   | 150   | 0 |
| საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო                                                                                                                                                                     |        |       |       |   |
| საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა - სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (32 02 10 01)                                                                                           | 15,035 | 5,630 | 540   | 0 |
| სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07 03)                                                                                               | 1,500  | 1,230 | 163   | 0 |
| „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ საფრანგეთში შეძენილი ლევილის მამულის (Leuville-sur-Orge) რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული ხარჯები" (32 10 04)                                                   | 3,500  | 1,500 | 1,500 | 0 |

ბიუჯეტის კვარტალური განწერით განსაზღვრულ 9 თვის გეგმასა და 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით დაბალი ათვისების მქონე ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის მაჩვენებლები - 2021 წ. (ათასი ლარი).

| პროგრამის დასახელება                                      | ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული გეგმა (1) | 9 თვის დამტკიცებული გეგმა (2) | 9 თვის დაზუსტებული გეგმა (3) | 8 თვის ფაქტი (4) | (4)/(2) % | (4)/(3) % |
|-----------------------------------------------------------|-----------------------------------------|-------------------------------|------------------------------|------------------|-----------|-----------|
| ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო            |                                         |                               |                              |                  |           |           |
| მარკეტინგული და იურიდიული კონსულტაციების ხარჯი (24 01 04) | 1,500                                   | 1,200                         | 1,200                        | 7                | 0.6%      | 0.6%      |

|                                                                                                      |        |        |        |        |       |       |
|------------------------------------------------------------------------------------------------------|--------|--------|--------|--------|-------|-------|
| მთის კურორტების განვითარება (24 06 04)                                                               | 50,000 | 50,000 | 31,826 | 7,300  | 14.6% | 22.9% |
| სამშენებლო სექტორის ხელშეწყობა<br>(სუბსიდიები) (24 07 03 01 01)                                      | 35,000 | 26,250 | 24,580 | 4,244  | 16.2% | 17.3% |
| საკრედიტო საგარანტიო სქემა (24 07 03 03)                                                             | 50,000 | 45,000 | 41,500 | 16,055 | 35.7% | 38.7% |
| ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის<br>განვითარება (24 17)                                             | 1,500  | 1,184  | 1,184  | 505    | 42.7% | 42.7% |
| <b>რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო</b>                                         |        |        |        |        |       |       |
| სივრცითი დაგეგმარება და ურბანული<br>განვითარება (25 03 15)                                           | 5,000  | 2,500  | 1,500  | 416    | 16.6% | 27.7% |
| <b>ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</b>     |        |        |        |        |       |       |
| ჯანმრთელობის ხელშეწყობა (27 03 02 10)                                                                | 1,385  | 1,345  | 1,345  | 521    | 38.7% | 38.7% |
| თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა<br>სამედიცინო შემოწმება (27 03 03 09)                          | 1,000  | 685    | 580    | 300    | 43.7% | 51.7% |
| სამედიცინო დაწესებულებათა<br>რეაბილიტაცია და აღჭურვა (27 04 01)                                      | 30,000 | 16,350 | 11,350 | 919    | 5.6%  | 8.1%  |
| შრომის პირობების ინსპექტირება (27 05 02)                                                             | 6,000  | 4,645  | 4,645  | 1,569  | 33.8% | 33.8% |
| იძულებით გადაადგილებულ პირთა<br>განსახლების სოციალური და<br>საცხოვრებელი პირობების შექმნა (27 06 03) | 85,000 | 50,500 | 49,579 | 24,105 | 47.7% | 48.6% |
| <b>გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</b>                                                |        |        |        |        |       |       |
| ქართული აგროსასურსათო პროდუქციის<br>პოპულარიზაცია (31 01 03)                                         | 500    | 300    | 142    | 2      | 0.6%  | 1.2%  |
| ღვინის ლაბორატორიული კვლევა (31 03 02)                                                               | 700    | 477    | 475    | 185    | 38.8% | 8.9%  |
| ქართული ჩაი (31 05 05)                                                                               | 500    | 420    | 420    | 59     | 14.2% | 14.2% |
| პროექტების ტექნიკური მხარდაჭერის<br>პროგრამა (31 05 08)                                              | 500    | 440    | 440    | 168    | 38.1% | 38.1% |
| დაცული ტერიტორიების დაცვა და<br>რესურსების მართვა (31 08 02)                                         | 700    | 550    | 450    | 237    | 43.0% | 52.6% |
| დაცული ტერიტორიების განვითარება (CNF)<br>(31 08 04)                                                  | 2,600  | 2,162  | 2,162  | 741    | 34.3% | 34.3% |
| <b>განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო</b>                                      |        |        |        |        |       |       |
| უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო<br>დაწესებულებების ინფრასტრუქტურის<br>განვითარება (32 07 04)  | 20,000 | 13,000 | 12,036 | 6,819  | 52.5% | 56.7% |
| სსიპ – საქართველოს ოლიმპიური<br>რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი<br>(32 08 02 01)                 | 2,080  | 1,557  | 1,522  | 613    | 39.4% | 40.3% |
| სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის<br>ეროვნული ცენტრი (32 09 01 13)                                  | 7,815  | 5,673  | 5,669  | 2,310  | 40.7% | 40.8% |
| კულტურული მემკვიდრეობის დაცვის<br>ხელშეწყობა (32 10 03 02)                                           | 13,302 | 7,712  | 7,420  | 2,909  | 37.7% | 39.2% |

ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ წლიურ გეგმასთან დაბალი და 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში მაღალი ათვისების მქონე ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის მაჩვენებლები - 2021 წ. (ათასი ლარი).

| პროგრამის დასახელება                                                                                                                                      | ბიუჯეტის<br>კანონით<br>დამტკიცებუ<br>ლი გეგმა<br>(1) | წლიური<br>დაზუსტ<br>ებული<br>გეგმა <sup>27</sup><br>(2) | 9 თვის<br>დაზუსტ<br>ებული<br>გეგმა<br>(3) | 8 თვის<br>ფაქტი<br>(4) | (4)/(1)<br>% | (4)/(3)<br>% |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------|---------------------------------------------------------|-------------------------------------------|------------------------|--------------|--------------|
| <b>რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო</b>                                                                                              |                                                      |                                                         |                                           |                        |              |              |
| საქართველოს მუნიციპალური განვითარების<br>ფონდის მიერ განსახორციელებელი<br>პროექტები (25 03 01)                                                            | 61,000                                               | 51,000                                                  | 30,478                                    | 27,349                 | 44.8%        | 89.7%        |
| იძულებით გადაადგილებულ პირთათვის<br>სოციალური და საცხოვრებელი პირობების<br>გაუმჯობესება (25 06 01)                                                        | 31,300                                               | 31,200                                                  | 19,400                                    | 17,335                 | 55.4%        | 89.4%        |
| <b>ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</b>                                                          |                                                      |                                                         |                                           |                        |              |              |
| სოციალური რეაბილიტაცია (27 02 03 01)                                                                                                                      | 12,980                                               | 9,187                                                   | 7,276                                     | 6,035                  | 46.5%        | 82.9%        |
| აივ ინფექციის/შიდსის მართვა (27 03 02 07)                                                                                                                 | 14,060                                               | 12,870                                                  | 7,166                                     | 6,126                  | 43.6%        | 85.5%        |
| C ჰეპატიტის მართვა (27 03 02 11)                                                                                                                          | 7,000                                                | 6,194                                                   | 2,902                                     | 2,146                  | 30.7%        | 74.0%        |
| <b>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</b>                                                                                                    |                                                      |                                                         |                                           |                        |              |              |
| აგროდაზღვევა (31 05 03)                                                                                                                                   | 11,000                                               | 10,827                                                  | 6,013                                     | 4,326                  | 39.3%        | 71.9%        |
| სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია<br>და ტექნიკის შეძენა (31 06 01)                                                                                     | 50,000                                               | 38,000                                                  | 31,450                                    | 26,550                 | 53.1%        | 84.4%        |
| გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის<br>მიმართულებით ინფორმაციაზე<br>ხელმისაწვდომობა, საზიგადოების<br>ჩართულობა და განათლების ხელშეწყობა (31<br>11 01 01) | 2,060                                                | 1,524                                                   | 1,212                                     | 939                    | 45.6%        | 77.5%        |

1. გარკვეული პროგრამები/ქვეპროგრამები ათვისების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდებიან როგორც ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ წლიურ, ასევე კვარტალური განწერით განსაზღვრულ 9 თვის გეგმასთან მიმართებით. ამასთანავე, ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის შემთხვევაში, 8 თვის განმავლობაში ასიგნებები არ ათვისებულა, რაც წლის ბოლომდე ამ პროგრამებისათვის გამოყოფილი დაფინანსების სრულად ათვისებას ნაკლებ მოსალოდნელს ხდის.

- რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ქვეპროგრამას - „სივრცითი დაგეგმარება და ურბანული განვითარება“ (25 03 15) ბიუჯეტის კანონით დაფინანსება 5 მლნ ლარის ოდენობით განესაზღვრა. 8 თვის მდგომარეობით, ქვეპროგრამის ფარგლებში წლიური დაზუსტებული გეგმის მხოლოდ 10%-ია ათვისებული. უწყების განმარტებით, შემოსულია ქვეპროგრამის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ანაზღაურების მოთხოვნა, რომელთა ღირებულების ჩათვლით ათვისება დაზუსტებული ბიუჯეტის 23%-ი იქნება. აღნიშნულ პროგრამულ კოდზე მოსალოდნელია ეკონომია, შესაბამისად, გამოყოფილი თანხის ათვისება წლის ბოლომდე მოსალოდნელი არ არის.

<sup>27</sup> წლიური დაზუსტებული გეგმა მოცემულია 31 აგვისტოს მდგომარეობით

- იუსტიციის სამინისტროს პროგრამის - „მიწის ბაზრის განვითარება (WB)” (26 09) ასიგნებები ბიუჯეტის კანონით 15 მლნ ლარის დონეზე განისაზღვრა. 8 თვის მდგომარეობით, ათვისების მაჩვენებელი წლიური გეგმის 36%-ს, ხოლო 9 თვის გეგმის 43%-ს შეადგენს. აღნიშნულის გამომწვევ მიზეზად ადამიანური რესურსების მობილიზებასთან და პანდემიასთან დაკავშირებული ფაქტორები სახელდება. თუმცა მითითებული მიზეზების გათვალისწინებით შესაძლებელი იყო შესაბამის კვარტლურ გეგმაში ცვლილების შეტანა, რაც არ განხორციელებულა.
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვეპროგრამები - „ქართული ჩაი“ (31 05 05), „პროექტების ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამა“ (31 05 08), „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა“ (31 05 09) დაბალი ათვისების მაჩვენებლით ხასიათდებიან (შესაბამისად 12%, 34%, 0%). აღნიშნულ ქვეპროგრამებზე გამოყოფილი თანხების ათვისება დამოკიდებულია ბენეფიციართა რაოდენობასა და მიმართვიანობაზე, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სამივე მათგანი ბოლო 3 წლის განმავლობაში მსგავსი ტენდენციით ხასიათდება.

### დანართი 3. პანდემიის საპასუხოდ გასატარებელი ღონისძიებები

პანდემიის საპასუხოდ განხორციელებული ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის ათვისების მდგომარეობა - 2021 წ. (ათასი ლარი).

| დასახელება                                                                                                                                                                                           | 2021 წლის<br>ბიუჯეტის<br>კანონი | 9 თვის<br>დამტკიცებული<br>გეგმა | 9 თვის<br>დაზუსტებული<br>გეგმა | 8 თვის<br>ფაქტი |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------|---------------------------------|--------------------------------|-----------------|
| სამშენებლო სექტორის ხელშეწყობა (24 07 03 01)                                                                                                                                                         | 35,000                          | 26,250                          | 24,580                         | 4,244           |
| მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა -<br>მცირე გრანტები (24 07 03 02)                                                                                                                              | 15,000                          | 15,000                          | 15,000                         | 14,345          |
| საკრედიტო საგარანტიო სქემა (24 07 03 03)                                                                                                                                                             | 50,000                          | 45,000                          | 41,500                         | 16,055          |
| კომუნალური გადასახადების სუბსიდირების<br>ხელშეწყობი ღონისძიებები (24 07 03 05)                                                                                                                       | 165,000                         | 135,000                         | 122,590                        | 117,103         |
| ახალ კორონავირუსთან დაკავშირებული<br>კარანტინის მომსახურების ხარჯები (24 20 01)                                                                                                                      | 21,000                          | 27,000                          | 20,027                         | 16,293          |
| ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2)<br>გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად<br>მიყენებული ზიანის შემსუბუქება (მოწყვლადი<br>ჯგუფებისათვის ფულადი<br>დახმარება/კომპენსაცია) (27 02 06 02)              | 100,000                         | 100,000                         | 102,362                        | 102,193         |
| ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2)<br>გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად<br>მიყენებული ზიანის შემსუბუქება (ფულადი<br>დახმარება/კომპენსაცია დასაქმებულთა და<br>თვითდასაქმებულთათვის) (27 02 06 03) | 150,000                         | 150,000                         | 148,368                        | 148,331         |
| იმუნიზაცია (ახალი კორონავირუსული<br>დაავადების - COVID 19-ის საწინააღმდეგო<br>ვაქცინით აცრების ადმინისტრირება) (27 03 02 02) <sup>28</sup>                                                           | 12,000                          | 4,600                           | 3,227                          | 909             |

<sup>28</sup> ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ათვისების დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია წლის პირველ ნახევარში ვაქცინაციის დაბალი ინტენსივობით. ასევე, სამედიცინო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი აცრების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ინსპექტირებისთვის საჭირო ვადების გამო მომსახურების გაწევის და ფაქტობრივად ანაზღაურების დროში აცდენით.

|                                                                                                                                                                                 |         |         |         |         |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------|---------|---------|---------|
| ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) მართვისთვის გასატარებელი ღონისძიებები (27 03 03 10 01 01)                                                      | 370,000 | 285,000 | 344,883 | 331,788 |
| საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მხარდაჭერა covid19-ის პირობებში (27 03 03 10 01 02)                                                                                              | 150,000 | 140,000 | 1,118   | 0       |
| ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) მართვის ხელშეწყობისთვის ცენტრის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები (27 03 03 10 01 03)                        | 30,000  | 15,000  | 57,415  | 49,085  |
| COVID-19-ზე რეაგირების საგანგებო ღონისძიებების მართვა (WB) (27 03 03 10 01 04)                                                                                                  | -       | -       | 502     | 431     |
| COVID-19-ის ვაქცინაზე ხელმისაწვდომობა (27 03 03 10 01 05)                                                                                                                       | 115,000 | 115,000 | 131,231 | 120,448 |
| ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) მართვის ხელშეწყობისთვის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები (27 03 03 10 01 06)                    | 35,000  | 34,000  | 74,902  | 68,296  |
| ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) მართვის ხელშეწყობისთვის გადაუდებელი დახმარების ცენტრის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები (27 03 03 10 01 07) | 10,000  | 5,000   | 17,333  | 15,795  |
| ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) მართვისთვის გასატარებელი ღონისძიებები (ა(ა)იპ - საქართველოს სამედიცინო პოლინიკა) (27 03 03 10 01 08)           | 10,000  | 6,400   | 7,400   | 1,275   |
| საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მხარდაჭერა covid19-ის პირობებში (GUMIP რეპროგრამირება) (EIB) (27 03 03 10 02) <sup>29</sup>                                                      | 80,000  | 80,000  | 80,000  | 192     |
| COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტის დამატებითი დაფინანსება (WB) (27 03 03 10 03) <sup>30</sup>                                                                    | 10,000  | 10,000  | 10,000  | 0       |
| COVID-19-ზე რეაგირების საგანგებო ღონისძიებების უზრუნველსაყოფად სამედიცინო დაწესებულებათა აღჭურვა/რეაბილიტაცია (27 04 03)                                                        | 28,000  | 26,000  | 33,841  | 26,182  |
| ახალი COVID - 19 ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების მართვა (30 01 14)                                                                                              | -       | -       | 2,337   | 1,692   |
| პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე ფასების შენარჩუნების სახელმწიფო პროგრამა (31 05 13 01)                                                                               | 12,000  | 12,000  | 16,709  | 16,709  |

<sup>29</sup> ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, დონორი ორგანიზაცია დანახარჯებს ანაზღაურებს რეტროაქტიულად, 2020-2021 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან განხორციელებული შესყიდვების დოკუმენტების დადასტურების შემდგომ. ხარჯში შესაბამისი თანხის ასახვა მოხდება დონორის მხრიდან დადასტურების შემდეგ.

<sup>30</sup> ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, დონორი ორგანიზაცია დანახარჯებს ანაზღაურებს რეტროაქტიულად, 2020-2021 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან განხორციელებული შესყიდვების დოკუმენტების დადასტურების შემდგომ. ხარჯში შესაბამისი თანხის ასახვა მოხდება დონორის მხრიდან დადასტურების შემდეგ.

#### დანართი 4. საინვესტიციო პროექტების ათვისების მდგომარეობა - მაგალითები

2021 წლის 9 თვის გეგმასთან მიმართებით 40%-ზე დაბალი ათვისების მქონე საინვესტიციო პროექტები (ათასი ლარი).

| პროექტის დასახელება                                                                                                          | 2021 წლის<br>ბიუჯეტის<br>კანონი<br>(1) | 9 თვის<br>გეგმა<br>(2) | 8 თვის<br>ფაქტი<br>(3) | (3)/(2)<br>% | (3)/(1)<br>% |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------|------------------------|------------------------|--------------|--------------|
| 500 კვ ევხ „წყალტუბო-ახალციხე-თორთუმი“ (KfW) (24 14 03 01)                                                                   | 6,700                                  | 6,700                  | 0                      | 0.0%         | 0.0%         |
| ჩრდილოეთის რგოლი (EBRD), ნამახვანი - წყალტუბო - ლაჯანური (EBRD, KfW) (24 14 03 02)                                           | 6,000                                  | 6,000                  | 0                      | 0.0%         | 0.0%         |
| პროფესიული განათლება I (KfW) (32 14)                                                                                         | 3,400                                  | 2,280                  | 0                      | 0.0%         | 0.0%         |
| ქვემო ქართლის ნარჩენების მართვის პროექტი (EBRD, SIDA) (25 05 03)                                                             | 600                                    | 930                    | 0                      | 0.0%         | 0.0%         |
| ბათუმის ავტობუსების პროექტი (E5P, EBRD) (56 13 03)                                                                           | 4,800                                  | 4,800                  | 0                      | 0.0%         | 0.0%         |
| COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტის დამატებითი დაფინანსება (WB) (27 03 03 10 03)                               | 10,000                                 | 10,000                 | 0                      | 0.0%         | 0.0%         |
| საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მხარდაჭერა covid19-ის პირობებში (GUMIP რეპროგრამირება) (EIB) (27 03 03 10 02)                 | 80,000                                 | 80,000                 | 192                    | 0.2%         | 0.2%         |
| მდგრადი წყალმომარაგებისა და სანიტარული სექტორის განვითარების პროგრამა (ADB) (25 04 02)                                       | 4,780                                  | 4,170                  | 37                     | 0.9%         | 0.8%         |
| Log-In Georgia (WB) (24 08 03)                                                                                               | 15,000                                 | 8,200                  | 137                    | 1.7%         | 0.9%         |
| ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (Kuwait Fund) (25 02 02 15) | 14,000                                 | 9,000                  | 343                    | 3.8%         | 2.4%         |
| თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის შორაპანი არგვეთას მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა (ADB) (25 02 03 08)         | 33,900                                 | 21,500                 | 1,864                  | 8.7%         | 5.5%         |
| სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ 0-კმ 50 მონაკვეთის მოდერნიზაცია-მშენებლობა (EIB, EU) (25 02 03 04)                 | 25,000                                 | 8,895                  | 1,334                  | 15.0%        | 5.3%         |
| მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II (კახეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი) (KfW) (25 05 04)                         | 3,600                                  | 1,180                  | 197                    | 16.7%        | 5.5%         |
| საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა (ADB) (25 03 07; 25 03 08)                                              | 33,000                                 | 24,850                 | 8,663                  | 34.9%        | 26.3%        |
| საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა (24 14 02)                                                      | 5,600                                  | 5,600                  | 1,961                  | 35.0%        | 35.0%        |
| რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი II (WB, WB-TF) (25 03 04)                                   | 21,800                                 | 15,580                 | 6,194                  | 39.8%        | 28.4%        |